

ნინო ქემერტელიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი

ninokemert@gmail.com

მერი გიორგაძე

ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი

maiagiorgadze27@gmail.com

საკვანძო სიტყვები: სამედიცინო ტერმინები, მეტაფორა, დაავადება, სინდრომი.

ინგლისურენოვანი მეტაფორული სამედიცინო ტერმინების ქართული შესატყვისებისთვის

მეტაფორა სალიტერატურო ენის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ტროპული სახეა და გულისხმობს ერთი საგნის თვისების მეორეზე გადატანას ანალოგიის პრინციპით, რომელთა ემოციურობის დონე განსხვავდება მათი მოულოდნელობის ხარისხის მიხედვით (Kemertelidze, Manjavidze 2012). ტერმინი „მეტაფორა“ ბერძნული სიტყვაა (ბერძნ: *metaphora*) და ნიშნავს გადატანას. მეტაფორის, როგორც სტილისტური ხერხის, შემთხვევაში ორი სრულიად განსხვავებული ცნება ერთიანდება რაიმე განსაკუთრებული თვისებით, რომელიც ერთ-ერთ მათგანს რეალურად არ ახასიათებს.

მეტაფორა ყოველთვის იპყრობდა მეცნიერთა ყურადღებას. იგი თანამედროვე მეცნიერებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკვლევი თემაა. ლინგვისტიკაში მეტაფორა ყოველთვის განიხილებოდა, როგორც ენაში არსებული ხარვეზების შევსებისა და მეტყველების გამდიდრების საშუალება.

კვლევის მიზანია ინგლისურენოვანი მეტაფორული სამედიცინო ტერმინების განხილვა და ანალიზი, ასევე, მათი ქართული შესატყვისების შესწავლა.

აღსანიშნავია, რომ ინგლისური ენის ლექსიკა იყოფა სამ შრედ: ლიტერატურული, ნეიტრალური და სასაუბრო (Galperin 1981). ლიტერატურული ლექსიკა, თავის მხრივ, იყოფა სპეციალურ ლიტერატურულ და ზოგად-სალიტერატურო ლექსიკად; შესაბამისად, სასაუბრო ლექსიკა დაყოფილია სპეციალურ სასაუბრო და ზოგად სასაუბრო ლექსიკად. ჩვენი კვლევის საგანი – ტერმინი – მიეკუთვნება როგორც

სპეციალურ ლიტერატურულ, ისე ზოგად-სალიტერატურო ლექსიკას. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, იგი-სპეციალურ ლიტერატურულ და ზოგად-სალიტერატურო ლექსიკათა შორისაა მოქცეული. აქვე, ზოგად-სალიტერატურო ლექსიკასთან ერთად "შემოდის" ნეიტრალური ლექსიკა, რაც გვაფიქრებინებს, რომ ტერმინებს ახასიათებს ნეიტრალურობისკენ სწრაფვა. მრავალი სიტყვა, რომლებიც დღეს აბსოლუტურად ნეიტრალურია, ოდესღაც ტერმინებად მიიჩნეოდა (ხალხი, ქონება, ხარისხი და ა.შ.). ტერმინები წარმოიშვა მეცნიერებისა და ახალი სპეციალობების განვითარებასთან ერთად. ყოველი ახალი ტერმინი "იწყებს თავის არსებობას" სპეციალურ ლიტერატურულ ლექსიკაში, მაგრამ მისი მაქსიმალურად ხშირი გამოყენება განაპირობებს მის თანდათანობით გადასვლას ზოგად-სალიტერატურო ლექსიკისა და საბოლოოდ, ნეიტრალური ლექსიკის შრეშიც კი.

ტერმინები იყოფა სპეციალობების მიხედვით. შესაბამისად, არსებობს ეკონომიკური, სამართლებრივი, სამედიცინო, ლინგვისტიკური, მუსიკალური და სხვ. ტერმინები. ისინი მიიჩნევა მონოსემანტურ ერთეულებად. ამასთანავე, ტერმინის ერთ-ერთი დამახასიათებელი თავისებურება, რომლითაც ის მკვეთრად განხვავდება ჩვეულებრივი სიტყვისგან, არის მისი ემოციურ-ექსპრესიული ნეიტრალურობა. მიუხედავად ამისა, ტერმინოლოგიურ სისტემაში ხშირად გვხვდება მეტაფორა ტერმინთქმნადობისას (Isaeva 2019). ხშირად მნიშვნელობათა გადატანა და მათი საშუალებით ტერმინთწარმოება მეტად მნიშვნელოვანი პროცესია, მაგალითად, *ყრუ კედელი*.

აღნიშნული პროცესი განსაკუთრებით გამოიკვეთა სამედიცინო სფეროში. სამედიცინო ტერმინთა დიდი ნაწილი სწორედ მეტაფორული ტერმინებია. განსაკუთრებით დიდია მათი წილი ინგლისურენოვან სამედიცინო ტერმინოლოგიაში (Džuganová 2017). მეტაფორული ტერმინებისთვის ქართული შესატყვისების მოძიება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს.

მეტაფორა ტერმინოლოგიურ ლექსიკაში ხშირად გვხვდება ტერმინთა საწარმოებელ საშუალებად. წინამდებარე კვლევის საგანია სამედიცინო ტერმინოლოგიაში მეტაფორულ ტერმინთა გამოვლენა და მათი კლასიფიკაცია. მოცემულ სტატიაში განხილული და გაანალიზებულია სხვადასხვა დაავადებისა და სინდრომის მეტაფორული სახელწოდებები ინგლისურ ენაში და მათი ქართული ეკვივალენტები.

ემპირიული მასალის კვლევისა და კლასიფიკაციის საფუძველზე გამოიყო რვა ჯგუფი.

I ჯგუფი

პირველ ჯგუფში გაერთიანებულ სამედიცინო ტერმინებს ინგლისურ ენაში მეტაფორული დატვირთვა აქვს. მათი ქართული ეკვივალენტები კი მხოლოდ წმინდა სამედიცინო ტერმინებია, რომელსაც მეტაფორული მნიშვნელობა არ გააჩნია. მაგალითად, ინგლისური სამედიცინო ტერმინი *blackwater fever* მეტაფორულად დატვირთულია, თუმცა მისი ქართული ეკვივალენტი – *ჰემოგლობინურიული ციებ-ცხელება* წმინდა სამედიცინო ტერმინია, რომელსაც საერთო არ აქვს ტროპის რომელიმე სახეობასთან. იგივე შეიძლება ითქვას დაავადებაზე *spotted fever*, რომელსაც აქვს მეტაფორული მნიშვნელობა ინგლისურ ენაში, ხოლო მისი ქართული შესატყვისი *პარტახტიანი ტიფი* წმინდა სამედიცინო ტერმინია. ამრიგად, აღნიშნულ ჯგუფში გაერთიანებული ინგლისური მეტაფორული ტერმინების ქართული შესატყვისები არ წარმოადგენს მეტაფორული მნიშვნელობის მქონე ტერმინებს.



II ჯგუფი

მეორე ჯგუფი მოიცავს ისეთ სამედიცინო ტერმინებს, რომელთაც ინგლისურ ენაში მეტაფორული მნიშვნელობა აქვს, მსგავსად პირველ ჯგუფში განხილული ტერმინებისა. აღსანიშნავია, რომ ქართულ ენაში ცოტა განსხვავებული სურათი გვხვდება; კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ ინგლისური ტერმინების ქართული ეკვივალენტები წმინდა სამედიცინო ტერმინებია, მათ დამატებით აღწერილობითი განმარტებებიც აქვთ. მაგალითად, ინგლისური სამედიცინო ტერმინი *cat-scratch fever/disease* მეტაფორულად დატვირთულია. ქართულ ენაში, იმავე დაავადების სახელწოდება ითარგმნება, როგორც *ფელინოზი*, რომელიც წმინდა სამედიცინო ტერმინია. აღნიშნულ შემთხვევაში

ტერმინის მეტაფორული ფუნქცია არ განიხილება. მეორე მხრივ, იმავე დაავადებას ქართულში კიდევ ერთი ეკვივალენტი აქვს *კატის ნაკაწრისაგან გამოწვეული ციებ-ცხელება* (დაავადება, რომელსაც კატის ნაკაწრი იწვევს). ამრიგად, აღნიშნული ქართული ეკვივალენტი წარმოადგენს დაავადების აღწერილობით განმარტებას, რადგან თვითონ მისი დასახელება აღწერს ამ დაავადებას. ამ ჯგუფში გაერთიანებული ინგლისური მეტაფორული ტერმინების ეკვივალენტებს (როგორც ეს პირველი ჯგუფის შემთხვევაში იყო) არ გააჩნია მეტაფორული მნიშვნელობა ქართულ ენაში. გრაფიკულად ეს ასე გამოიყურება:



III ჯგუფი

მესამე ჯგუფში განხილული ინგლისური მეტაფორული სამედიცინო ტერმინების ქართული ეკვივალენტები მხოლოდ აღწერილობითი სახის განმარტებებია. მაგალითად, ინგლისური მეტაფორული მნიშვნელობის სამედიცინო ტერმინი *milk fever* ქართულ ენაზე ითარგმნება როგორც *მშობირობის შემდგომი ციებ-ცხელება*, რომელიც თავის მხრივ არც წმინდა სამედიცინო ტერმინია და არც მეტაფორული მნიშვნელობა გააჩნია. ანალოგიურად განიხილება ინგლისური მეტაფორული სამედიცინო ტერმინიც *butterfly rash*. დაავადების სახელწოდება, ქართულ ენაზე გადმოცემულია აღწერილობითი განმარტებით – *პეპლის ფორმის გამონაყარი* (გამონაყარი, რომელსაც პეპლის ფორმა აქვს). ქართულ ეკვივალენტში რომ არ ყოფილიყო სიტყვა *ფორმის*, ტერმინი მეტაფორული მნიშვნელობის იქნებოდა, მაგრამ აღნიშნული სიტყვის გამოყენება შესიტყვებას აღწერილობითი განმარტების სახეს აძლევს. ამრიგად, ამ ჯგუფში განხილული ინგლისური მეტაფორული ტერმინები ქართულად აღწერილობითი ხასიათისაა.



IV ჯგუფი

მეოთხე ჯგუფში განხილული ინგლისური სამედიცინო ტერმინები მეტაფორული მნიშვნელობისაა, თუმცა მათ ასევე წმინდა სამედიცინო ეკვივალენტებიც აქვთ. ქართულ ენაში ვხვდებით ანალოგიურ სურათს. მაგალითად, სამედიცინო ტერმინი *mud fever* მეტაფორაა. იგივე დაავადება ცნობილია სხვა სახელწოდებითაც *malaria*, რომელიც წმინდა სამედიცინო ტერმინია და მეტაფორული მნიშვნელობა არ გააჩნია. ქართულ ენაში დაავადების სახელწოდება ორნაირადაა ცნობილი: 1) *ჭაობის ციებ-ცხელება*, რომელიც მეტაფორაა და 2) *მაღარია* – წმინდა სამედიცინო ტერმინი. განვიხილოთ კიდევ ერთი საინტერესო მაგალითი. სამედიცინო ტერმინი *dancing mania* არის ძლიერი ემოციის შემცველი მეტაფორა, რაც უჩვეულოა სამეცნიერო ტერმინოლოგიისთვის. დაავადების სახელწოდება ასევე გამოხატულია წმინდა სამედიცინო ტერმინითაც *choreomania*. აღნიშნული ტერმინის *dancing mania* მეტაფორული ქართული ეკვივალენტია *ფილენჯის ქარი*, რაც არ არის ემოციურად ისე დატვირთული, როგორც მისი ინგლისური ვერსია. მეორე მხრივ, ამ დაავადებას ქართულში ასევე უწოდებენ *ქორეა*-ს. ამრიგად, მოცემულ ჯგუფში გაერთიანებული სამედიცინო ტერმინები წარმოდგენილია ორი სახით: მეტაფორული მნიშვნელობის მქონე ტერმინები და წმინდა სამედიცინო ტერმინები. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ წინამდებარე ჯგუფში გაერთიანებული დაავადებების სახელწოდებებს ინგლისურ ენაში უპირველესად მეტაფორული მნიშვნელობა აქვს, ხოლო წმინდა სამედიცინო ტერმინები კი მეორეულია.




V ჯგუფი

მეოთხე ჯგუფისგან განსხვავებით, მეხუთე ჯგუფში გაერთიანებული დაავადებათა სახელწოდებები ინგლისურ ენაში გადმოცემულია წმინდა სამედიცინო ტერმინებით, ხოლო მათი მეტაფორული მნიშვნელობა მეორე პლანზეა. მაგალითად, დაავადება სახელწოდებით *visceral leishmaniasis* გადმოცემულია წმინდა სამედიცინო ტერმინით, თუმცა მისი მეორე სახელწოდება *black fever* მეტაფორული სამედიცინო ტერმინია.

აღნიშნული ჯგუფი იყოფა ორ ქვეჯგუფად:

ა) ინგლისური სამედიცინო ტერმინის ქართული ეკვივალენტიც წმინდა სამედიცინო ტერმინია. მაგალითად: წმინდა სამედიცინო ტერმინის *basal cell carcinoma* მეტაფორული ეკვივალენტი *rodent ulcer*. ქართულ ენაში აღნიშნული დაავადების სახელწოდება გამოხატულია მხოლოდ წმინდა სამედიცინო ტერმინებით *ბაზალიომა*; *კანის კარცინოიდი*. საინტერესოა მეორე მაგალითიც: დაავადებას, რომლის სახელწოდებაც ინგლისურ ენაში არის *infectious mononucleosis*, ასევე აქვს მეტაფორული ეკვივალენტი ინგლისურად – *kissing disease*, რომელიც საკმაოდ შთამბეჭდავი მეტაფორაა. გამომდინარე იქიდან, რომ დაავადება ინფექციურია, იგი გადადის კოცნით. შესაძლოა, სწორედ ეს განაპირობებს მეტაფორული ტერმინის შექმნას. ქართულ ენაში ეს დაავადება გამოხატულია მხოლოდ წმინდა სამედიცინო ტერმინით *ინფექციური მონონუკლეოზი*.



ბ) ინგლისურსა და ქართულ ენებში გვხვდება ისეთი შემთხვევები, როდესაც დაავადებები ორივე ენაში გადმოცემულია წმინდა სამედიცინო ტერმინებით; მათ ასევე აქვთ მეტაფორული მნიშვნელობები. მაგალითად, ინფექციურ დაავადებას, გამონაყარი კანზე (ხელებზე, სახეზე, ფეხებსა და სხვ.) ინგლისურ ენაში ეწოდება *erysipelas*, თუმცა, აღნიშნული ასევე გამოხატულია მეტაფორული მნიშვნელობის სამედიცინო ტერმინებით *holy fire*; *St. Anthony's fire*. ქართულ ენაში გვაქვს ანალოგიური სურათი – წმინდა სამედიცინო ტერმინი *ერიზიპელასი* და მეტაფორული მნიშვნელობის სამედიცინო ტერმინი *წითელი ქარი*.



აღსანიშნავია, რომ მეოთხე და მეხუთე ჯგუფებში განხილული დაავადებები, გარკვეულწილად, ერთმანეთს კვეთს. მათ შორის ერთადერთი განსხვავება ისაა, რომ მეოთხე ჯგუფში განხილულ დაავადებათა სახელწოდებების უპირველესი მნიშვნელობა მეტაფორულია, ხოლო მეხუთე ჯგუფში განხილულ დაავადებათა სახელწოდებების პირველადი, გავრცელებული მნიშვნელობა წმინდა სამედიცინო ტერმინებია მაშინ, როცა მათი მეტაფორული მნიშვნელობა მეორეულია.

VI ჯგუფი

მეექვსე ჯგუფში გაერთიანებულ სამედიცინო ტერმინებს აქვს მეტაფორული მნიშვნელობა როგორც ინგლისურ, ისე ქართულ ენაში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, დაავადებები ორივე ენაში მხოლოდ მეტაფორული მნიშვნელობის სამედიცინო ტერმინებით არის გამოხატული. მაგალითად, ინგლისურ ენაში, მეტაფორული მნიშვნელობის სამედიცინო ტერმინის *yellow fever* ქართული შესატყვისი ასევე მეტაფორული სამედიცინო ტერმინია *ყვითელი ციებ-ცხელება*, რაც გრაფიკულად შემდეგნაირად აისახება:



VII ჯგუფი

კვლევის დროს გამოიკვეთა სამი შემთხვევა, როდესაც დაავადებათა სახელწოდებები გადმოცემულია მეტაფორული მნიშვნელობის სამედიცინო ტერმინებით, მაგრამ მათი შესატყვისი ქართული ეკვივალენტები არ მოიძებნა. ისინი მეშვიდე ჯგუფშია გაერთიანებული.



VIII ჯგუფი

მერვე ჯგუფი მოიცავს მეტაფორული მნიშვნელობის სამედიცინო ტერმინებს, რომლებიც შექმნილია ცნობილი ადამიანების სახელების, ლიტერატურული პერსონაჟებისა და ადგილების სახელწოდებათა საფუძველზე. აღსანიშნავია, რომ, თუ ამ ჯგუფში გაერთიანებულ დაავადებებს წინამდებარე კლასიფიკაციის მიხედვით დავალაგებთ, ზოგიერთი მათგანი გაერთიანდება მეხუთე და მეექვსე ჯგუფებში, მხოლოდ ერთი მათგანი – მეშვიდე ჯგუფში.

ცნობილი ადამიანები

Van Gogh syndrome – ვან გოგის სინდრომი, *Napoleon syndrome* – ნაპოლეონის სინდრომი

ლიტერატურული პერსონაჟები

Dorian Gray syndrome – დორიან გრეის სინდრომი, *Pickwickian syndrome* – პიკვიკის სინდრომი

ადგილების სახელწოდებები

Jerusalem syndrome – იერუსალიმის სინდრომი

დასკვნა

ამრიგად, აღნიშნული კვლევა ჩატარდა 60 მეტაფორული სამედიცინო ტერმინის ანალიზის საფუძველზე. აღსანიშნავია, რომ მეტაფორული სამედიცინო ტერმინების უმეტესობა გაერთიანებულია მერვე და მეორე ჯგუფებში, რაც იმას ნიშნავს, რომ მერვე ჯგუფში გაერთიანებული სამედიცინო მნიშვნელობის მეტაფორული ტერმინების აღმატება სხვა ჯგუფებში შემავალ სამედიცინო მეტაფორულ ტერმინებს.

თითოეულ ჯგუფში გაერთიანებული სამედიცინო მეტაფორული ტერმინების რიცხვი კლების შესაბამისად წარმოდგენილია შემდეგი სახით: ჯგუფი 8> ჯგუფი 5> ჯგუფი 6> ჯგუფი 4> ჯგუფი 7 = ჯგუფი 3 = ჯგუფი 1> ჯგუფი 2

ლიტერატურა

Džuganová 2017 – Božena Džuganová, Some Aspect of Medical English Terminology, Foreign Language for Special Purposes, 5(14), Bratislava.

Galperin 1981 – I.A. Galperin, Stylistics. Moscow.

Isaeva 2019 – Ekaterina Isaeva, Metaphor in Terminology: Finding Tools for Efficient Professional Communication, Fachsprache 41, Vienna.

Kemertelidze, Manjavidze 2012 – Nino Kemertelidze, Tamar Manjavidze, Classification of the Metaphors According to the Degree of

Unexpectedness, European Scientific Journal. Vol.8, No 2. Macedonia. ISSN: 1857 – 7881.

Merriam-Webster Medical Dictionary, <https://www.merriam-webster.com/medical>

Medical Dictionary of Health Terms, <https://www.health.harvard.edu/a-through-c>

Nino Kemertelidze

Georgian Technical University, Tbilisi

ninokemert@gmail.com

Meri Giorgadze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Tbilisi

maia Giorgadze@ymail.com

Keywords: Medical Terms, Metaphor, Disease, Syndrome.

English Metaphoric Medical Terms and Their Georgian Equivalents

Summary

Metaphor is one of the most interesting tropes among lexical stylistic devices. The term „metaphor,“ as the etymology of the word reveals, means the transference of some quality from one object to another. It is based on the principle of analogy. A metaphor becomes a stylistic device when two completely different concepts are united in the mind according to a certain feature that one of them does not possess in reality.

One of the characteristic features of a term that distinguishes it from an ordinary word is its neutral character. Alternatively, terms should be free of stylistic loading, expressiveness, and emotions, according to their nature. Notwithstanding this, metaphors are quite frequently created in the terminological system. Term formation by

means of meaning transference is often a rather significant process (e.g., *deadlock*).

This process was mainly observed in the medical sphere. The vast majority of medical terms are metaphors. It is particularly vivid in English medical terminology. One of the problems with such metaphoric terms is figuring out their Georgian equivalents.

Metaphors are often used in terminological vocabulary for term formation.

This study aims to identify and categorize metaphorical terms in medical terminology.

The English names of various diseases and syndromes with metaphoric value are compared to their Georgian equivalents. Consequently, the classification of the material under investigation revealed several groups.